პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 28 ივლისი, 1945 წ. № 148 (7363). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:

ალვკვეთოთ დანაკარგი მოსავლის აღებისას. მოწინავე (1-ლი გვერდი).
მივცეთ ჩვენს ქვეყანას გეგმის გადამეტებით მილიონობით მეტრი კეთილხარისხოვანი ქსოვილი (1-ლი გვერდი).
სარატოვის ოლქის პუგაჩოვის რაიონის ნადეჟდინსკის მტს-ის მუშაკთა კოლექტივის მიმართვა (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
მედიცინის მუშაკთა დაჯილდოება (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება. საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პლენუმი. კომკავშირს ყოველდღიური პარტიული ხელმძღვანელობა. (მე-2 გვერდი).
უცხოეთის ამბები. დეპეშები (მე-2 გვერდი).

# ალვკვეთოთ დანაკარგი მოსავლის აღებისას

სასიხარულო ცნობები მოდის რაიონებიდან: კოლმეურნეები პურეულის კარგ მოსავალს იღებენ. მარცვლეულით დატვირთული ალალები განუწყვეტლივ მიემართებიან მიღების პუნქტებისაკენ. მოწინავე კოლმეურნეობები პირველი განაღწი პურეულით პირნათლად იხდიან თავიანთ ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე. ჩვენი კოლმეურნე გლეხობა ახლა, მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში, ისევე დაუღალავად მუშაობს, როგორც დიდი სამამულო ომის დროს. მან კარგად იცის, რომ პურისათვის ბრძოლა ჩვენი დიადი სამშობლოს შემდგომი გაძლიერებისათვის ბრძოლაა, რომ მოსავლის უდანაკარგოდ აღება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილებაში „1945 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა შესახებ“ დაგვისახეს კონკრეტული ღონისძიებანი ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უდანაკარგოდ აღებისა და დამზადების გეგმების წარმატებით შესრულებისათვის. ფართოდ გაჩაღდა მუშაობა ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის. მთელი რიგი კოლმეურნეობები მომკის შემდეგ მინდვრად არ სტოვებენ არც ერთ თავთავს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მომკილი პურის დროულად გაშრობას, ძნებად შეკვრას, დაზვინვას. კომბაინებითა და „ლობოგრეიკებით“ პურეულის აღებისას მარცვალი რომ არ დაიკარგოს, მანქანებს უკეთებენ მარცვალსაჭერს, აწყობენ მანქანით აღების შემდეგ მინდვრად დარჩენილი თავთავების შეგროვებას, იყენებენ ამისათვის მოსწავლეებს, მოზარდებსა და მოხუცებს.

მაგრამ ყველგან ასე არ არის. მთელი ძალები ყველგან როდია გამოყენებული პურეულის მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ აღებისათვის. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის დანაკარგები. შირაქისა და ულიანოვკის მტსებში ზოგიერთ კომბაინს მოწყობილი არა აქვს მარცვალსაჭერები. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა კომბაინს მარცვალსაჭერი მოწყობილი აქვს, მაგრამ მას დროულად არ სწმენდენ, მტვრით ივსება და თავის დანიშნულებას ველარ ასრულებს. მარცვალსაჭერის მოწყობა კომბაინზე და მისი დროული გაწმენდა რთული საქმე არ არის, მხოლოდ საჭიროა მონდომება და პასუხისმგებლობა.

**დანაკარგებთან ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ მოსავლის აღების ყველა სტადიაში, როგორც პურეულის მომკისას, ისე ძნებად შეკვრის, დაზვინვის, გალეწვის, გადაზიდვისა და შენახვის დროს.**

უპირველეს ყოვლისა აუცილებელია მოსავალი ავიღოთ **მოკლე ვადებში.** ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი პირობა პურეულის უდანაკარგოდ აღებისათვის. სამწუხაროდ, ზოგიერთი რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ამას არ ითვალისწინებენ. გურჯაანის, საგარეჯოს, ბორჩალოს, ბოლნისის, მცხეთის, ახმეტისა და წითელწყაროს რაიონების ზოგიერთი კოლმეურნეობის ცალკეულ ნაკვეთებზე გვიანდება მომწიფებული პურის აღება. ამან შეიძლება გამოიწვიოს მარცვლის ჩაცვივნა. მოსავლის აღების დაჩქარებისათვის აუცილებელია: ჯერ-ერთი, კომბაინების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა; მეორე, მოსავლის აღები მარტივი მანქანების მაქსიმალურად გამოყენება და მესამე, მოსავლის ხელით აღების კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღება.

დანაკარგი გვექნება, თუ მარტივი მანქანებითა და ხელით პურეულის მომკისთანავე არ მოხდა მისი ძნებად შეკვრა, ბულულებად, ათეულებად დადგმა. მომკილი პური დროზე არ შეჰკრა ძნებად, ეს იმას ნიშნავს, რომ ჰექტარზე ხუთი-ექვსი ფუთი პური მაინც დაჰკარგო. ამიტომ სწორად იქცევიან ის კოლმეურნეობები, რომლებიც არ აყოვნებენ პურეულის ძნებად შეკვრას.

დანაკარგი გვექნება, თუ ძნებად შეკრული პური გაშრობისთანავე არ დავზვინეთ. ნუ დავივიწყებთ, რომ დაუზვინავი პური იგივე აუღებელი პურია. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ამას არ ითვალისწინებენ და თითქოს ტენიანობის მომიზეზებით პურეულის დაზვინვას აჭიანურებენ. ამჟამად ამინდი საუკეთესოა იმისათვის, რომ ძნებად შეკრული პური თავის დროზე გაშრეს. საჭიროა მხოლოდ მეტი ყურადღება მივაქციოთ პურეულის დაზვინვას. თელავის რაიონში 20 ივლისისათვის მარტივი მანქანებითა და ხელით აღებული იყო 4.766 ჰექტარი პური, დაზვინული კი — 2.477 ჰექტარის მოსავალი. დაზვინვის ასეთსავე ჩამორჩენას ადგილი აქვს ყვარლისა და თბილისის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში. თელავის, ყვარლისა და თბილისის რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებს ევალებათ მიიღონ გადამჭრელი ზომები ამ მდგომარეობის გამოსწორებისათვის.

დანაკარგი გვექნება, თუ აღებული მარცვლეული დროულად არ გაილეწა. არის ფაქტები, რომ ზოგან გალეწვას აჭიანურებენ. აუცილებელია კოლმეურნეობები გალეწვას შეუდგნენ მკის დაწყებიდან არა უგვიანეს 5 დღისა. უნდა მოვაწყოთ მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა რთული და ცხენით მომუშავე სალეწი მანქანის სადღეღამისო მუშაობა. იმ შემთხვევაში, თუ კოლმეურნეობებს არ ჰყოფნით მუშახელი გალეწვისა და დაზვინვის ერთდროულად ჩატარებისათვის, მაშინ საჭიროა გამხმარი პურეულის დაზვინვა დამთავრდეს არა უგვიანეს მეათე დღისა მკის დამთავრების შემდეგ.

კომბაინი დანაკარგების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველვყოფთ მის მაღალხარისხოვან მუშაობას, მის სწორად რეგულირებას. ზოგიერთი კომბაინერი პურს მაღლა სჭრის, არ იცავს კომბაინით მოსავლის აღების ყველა წესს. ცხადია ამ შემთხვევაში დანაკარგების შემცირებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჩვენი მოვალეობაა არ დავუშვათ მოსავლის დანაკარგი პურის მაღლად მოჭრისა და კომბაინის ცუდი რეგულირების გამო. მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს უფლება აქვთ 30 პროცენტით შეუმცირონ საზღაური კომბაინერს ცუდად აღებული ნაკვეთისათვის.

დანაკარგების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა კომბაინებიდან და სალეწი მანქანებიდან მიღებული მთელი ტენიანი მარცვლეულის დაუყოვნებლივ გახმობა კალოებზე და სახმობებში, ამასთანავე არ უნდა დავუშვათ მარცვლეულის გაწმენდის დაგვიანება, აგრეთვე მარცვლეულის ხვავის ჩახურება.

დანაკარგების აღკვეთის საუკეთესო საშუალებაა როგორც მოუმკელი, ისე მომკილი, დაბულულებული და დაზვინული პურეულის **გულმოდგინედ დაცვა,** განსაკუთრებით მინდვრის ღია კალოებზე, აგრეთვე პურის **საგალდებულო აწონვა** კომბაინებთან, სალეწ მანქანებთან და ბეღლებში მისი მიღების დროს. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მოსავლის აღრიცხვასა და დაცვაზე მტკიცე კონტროლი უნდა დააწესონ.

პარტიის რაიონული კომიტეტებისა და რაისაბჭოების აღმასკომების წინაშე დგას ამოცანა — უზრუნველჰყონ მოსავლის აღება ისე, რომ არ დაიკარგოს, **არც ერთი კილოგრამი მარცვლეული, არც ერთი თავთავი,** ამ ამოცანის შესრულების გადამწყვეტი პირობაა მინდვრად შრომის სწორად მოწყობა. მოსავლის აღებისა და დამამზადებელ პუნქტებში პროდუქტების გაზიდვისას ფართოდ უნდა დავნერგოთ ინდივიდუალური და წვრილჯგუფური (რგოლური) სანარდო მუშაობის სისტემა. აუცილებელია უზრუნველვყოთ მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის გამოყენება მოსავლის აღებისას.

საკოლმეურნეო სოფლის მთელი ძალები მოსავლის უდანაკარგოდ, მოკლე ვადებში აღებას და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადების გეგმის პირნათლად შესრულებას!

# მივცეთ ჩვენს ქვეყანას გეგმის გადამეტებით მილიონობით მეტრი კეთილხარისხოვანი ქსოვილი

## ივანოვოს მელანჟის კომბინატის, როდნიკოვსკის ლენინის ორდენოსან კომბინატ „ბოლშევიკის“ და ლენინის სახელობის გლუხოვის ბამბეულის კომბინატის მუშაკთა მიმართვა

### საბჭოთა კავშირის საფეიქრო მრეწველობის ყველა მუშას, ინჟინერს, ტექნიკოსსა და მოსამსახურეს

ამხანაგო ფეიქრებო!

გმირმა წითელმა არმიამ გენიალური მხედართმთავრის საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსის დიდი სტალინის წინამძღოლობით შეასრულა თავისი ისტორიული მისია — დაიცვა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა და გაანადგურა მტერი. წითელი არმიის ისტორიული გამარჯვება უზრუნველყოფილი იყო მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის დაძაბული და თავდადებული შრომით. მთელ ხალხთან ერთად თავდადებულად შრომობდნენ საბჭოთა ფეიქრებიც.

ომიანობის დროის ძნელ პირობებში საფეიქრო საწარმოთა მუშაკებმა სწრაფად გარდაჰქმნეს თავიანთი წარმოება წითელი არმიის მომარაგებისა და ფრონტისა და თავდაცვითი მრეწველობის საჭიროებისათვის სპეციალური ნაწარმის გამოსამუშავებლად. ფეიქრები განუწყვეტლივ უზრუნველჰყოფდნენ საბჭოთა მეომრებს ყოველივე საჭირო საფეიქრო ნაწარმით.

ჩვენ, ივანოვოს მელანჟის კომბინატის, როდნიკოვსკის ლენინის ორდენოსან კომბინატ „ბოლშევიკის“ და ლენინის სახელობის გლუხოვის ბამბეულის კომბინატის მუშაკები, აღფრთოვანებულნი საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვებით, ვიწვევთ საბჭოთა კავშირის ყველა ფეიქარს გამარჯვების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვიღებთ 1945 წლის მეორე ნახევრისათვის შემდეგ ვალდებულებებს:

### ივანოვოს მელანჟის კომბინატი

1. წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოვიმუშავოთ: 120 ტონა ნართი, 700 ათასი მეტრი ხამი ქსოვილი და 700 ათასი მეტრი მზა ქსოვილი.
2. გავწიოთ 200 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ეკონომია.
3. გამომუშავებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით გავწიოთ 500 ათასი მანეთის ეკონომია.
4. საწარმოში სამუშაოდ მოვიზიდოთ 10 პროცენტი ახალი მუშები და წლის ბოლომდე შევასწავლოთ მათ საფეიქრო კვალიფიკაციები. ახალი მუშების მოსათავსებლად მოვამზადოთ 1,800 კვადრატული მეტრი ყოველივე აუცილებლით მოწყობილი საერთო საცხოვრებლები.
5. კომბინატში მომუშავეთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად 1945 წლის 15 დეკემბრისათვის შევასრულოთ საბინაო-საყოფაცხოვრებო და კომუნალურ შენობათა მიმდინარე და კაპიტალური რემონტის გეგმა.

1945 წლის 1 ოქტომბრისათვის საკმაო რაოდენობით დავამზადოთ სათბობი საცხოვრებელი შენობების განუწყვეტლივ გათბობისათვის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში. ნათესების კარგი მოვლით მივაღწიოთ მაღალ მოსავალს კომბინატის საბჭოთა მეურნეობებში, კარგად და დროულად ჩავატაროთ მოსავლის აღება.

### როდნიკოვსკის ლენინის ორდენოსანი კომბინატი „ბოლშევიკი“

1. წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოვიმუშაოთ: 320 ტონა ნართი 1,400 ათასი მეტრი ხამი ქსოვილი და 500 ათასი მეტრი ჩითქსოვილი.
2. მივცეთ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით 2 მილიონი მანეთი დაგროვება.
3. გავზარდოთ მოწყობილობის ნაყოფიერება წლის პირველ ნახევართან შედარებით რთვაში 5 პროცენტით და ქსოვაში 7 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება რთვასა და ქსოვაში—7 პროცენტით.
4. წარმოებაში სამუშაოდ მოვიზიდოთ 10 პროცენტი ახალი მუშები და წლის ბოლომდე შევასწავლოთ მათ საფეიქრო კვალიფიკაციები. მოვამზადოთ ახალი მუშების მოსათავსებლად ყოველივე აუცილებლით მოწყობილი 2,250 კვადრატული მეტრი ფართობი საერთო საცხოვრებლები.

### ლენინის სახელობის გლუხოვის ბამბეულის კომბინატი

1. წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ: 1 მილიონი 200 ათასი მეტრი მზა პროდუქცია, 300 ათასი მეტრი ხამი ქსოვილები, 500 ათასი კოჭა ძაფი.
2. 8 პროცენტით გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება წლის პირველ ნახევართან შედარებით.
3. ა. წ. მესამე კვარტალში სავსებით ავითვისოთ და გავადიდოთ ველვეტ-კორდის, ტაფტისა და ზეფირის ქსოვილების გამოშვება.
4. 1944 წელთან შედარებით პროდუქციის თვითღირებულება შევამციროთ 1 მილიონი მანეთით.
5. კომბინატის ფაბრიკებში ავიყვანოთ 700 ახალი მუშა და შევასწავლოთ მათ საფეიქრო კვალიფიკაციები. ახლადმიღებული მუშების მოსათავსებლად მოვამზადოთ და ყოველივე აუცილებლით მოვაწყოთ 2,800 კვადრატული მეტრი ფართობი საერთო საცხოვრებლები.

ჩვენ მოვუწოდებთ საბჭოთა კავშირის საფეიქრო მრეწველობის ყველა მუშას, ინჟინერს, ტექნიკოსსა და მოსამსახურეს ფართოდ გააჩაღონ ჩვენი გამარჯვების აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. განვამტკიცოთ წითელი არმიის მიერ სამამულო ომის ფრონტებზე მოპოვებული ისტორიული გამარჯვება ახალი გამარჯვებებით მშვიდობიანი შრომის ფრონტზე!

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს!

გაუმარჯოს გმირ წითელ არმიას!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას—ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსს, ჩვენს მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ სტალინს!

**განხილულია და მიღებულია ივანოვოს მელანჟის კომბინატის, როდნიკოვსკის ლენინის ორდენოსან კომბინატ „ბოლშევიკის“ და ლენინის სახელობის გლუხოვის ბამბეულის კომბინატის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა და მოსამსახურეთა საამქრო და საერთოსაფაბრიკო მიტინგებზე.**

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრ ბორის ილიას-ძე ზბარსკისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევებისათვის სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს ბორის ილიას-ძე **ზბარსკის** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი.
1945 წლის 26 ივლისი.

# მედიცინის მუშაკთა დაჯილდოება

### (მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში წითელი არმიის დაჭრილ მებრძოლთა და ოფიცერთა მკურნალობის, ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარების, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა და სამედიცინო კადრების მომზადების დარგში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის, პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მუშაკთა და წითელი არმიის სანიტარულ-სამკურნალო დაწესებულებების მუშაკთა დიდი ჯგუფი.

**წითელი ვარსკვლავის** ორდენით დაჯილდოებულთა შორის არიან ადმინისტრატიული სამსახურის კაპიტანი ვიქტორ დავითის-ძე **დავითაშვილი,** თბილისის ევაკოჰოსპიტლის წამყვანი ქირურგი ალექსანდრე იოსების-ძე **ედიშერიძე,** კაპიტანი შალვა სამსონის-ძე **იმედაძე,** ქუთაისის ევაკოჰოსპიტლის წამყვანი ქირურგი ელიზბარ გრიგოლის-ძე **ქურდიანი,** სამედიცინო სამსახურის მაიორი ელეონორა სერგოს-ასული **მესხი,** თბილისის ევაკოჰოსპიტლის წამყვანი ქირურგი მიხეილ ბესარიონის-ძე **მოსიძე,** ევაკოჰოსპიტლის წამყვანი ქირურგი შალვა იოსების-ძე **მთვარელიძე,** კაპიტანი შოთა გუჯუს-ძე **ნაჭყებია,** სამედიცინო სამსახურის მაიორი ილია მიხეილის-ძე **რაზმაძე,** სამედიცინო სამსახურის მაიორი ანტონ დავითის-ძე **საკანდელიძე,** სამედიცინო სამსახურის მაიორი ალექსანდრე ივანეს-ძე **ჩიქოვანი,** აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი ნევრესტან რეჯების-ასული **შაშიკაშვილი,** სამედიცინო სამსახურის მაიორი ვლადიმერ კარპეზის-ძე **ელიაშვილი,** თბილისის ევაკოჰოსპიტლის სამედიცინო ნაწილის უფროსი პროფესორი ლეონტი ვასილის-ძე **ელიაშვილი.**

**საპატიო ნიშნის** ორდენით დაჯილდოებულთა შორის არიან ყანდაურის სასოფლო საექიმო უბნის ფერშალი მარიამ ნასყიდას-ასული **აბესაძე,** აჭარის რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი თამარ მიხეილის-ასული **ბეთანელი,** თბილისის სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი მიხეილ ნიკოლოზის-ძე **ჟორჟოლიანი,** გორის რაიონული ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების მეჯვრისხევის სასოფლო საექიმო უბნის გამგე მარიამ კონსტანტინეს-ასული **ზურმუხტაშვილი,** საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის სახელმწიფო ინსპექტორი კვების სანიტარიის დარგში გიორგი აბრამის-ძე **იორდანიშვილი,** თბილისის სადეზინფექციო სადგურის გამგე სიმონ ლეონიდეს-ძე **ქიქოძე,** ჰოსპიტლის სამედიცინო ნაწილის უფროსი თინა ოქროპირის-ასული **ჭუნთელია,** თბილისის ინფექციური საავადმყოფოს მთავარი ექიმი გრიგოლ თადეოზის-ძე **მშველიძე.**

# სარატოვის ოლქის პუგაჩოვის რაიონის ნადეჟდინსკის მტს-ის მუშაკთა კოლექტივის მიმართვა

### საბჭოთა კავშირის მტს-ების ყველა კომბაინერს და ტრაქტორისტს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტსა და კოლმეურნეს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის სამამულო ომი ჰიტლერულ გერმანიის წინააღმდეგ დამთავრდა ჩვენი მართალი საქმის გამარჯვებით, ამხანაგმა სტალინმა უკვდავ დიდებამდე მიგვიყვანა. მისი ხელმძღვანელობით ჩვენ დავიცავით ჩვენი საყვარელი სამშობლოს ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ჩვენ დარაზმული ვიყავით ჩვენი ბელადის და მხედართმთავრის გარშემო ომის მძიმე წლებში, და ჩვენი პირველი ფიქრი გამარჯვების პირველი წლის მოსავლის აღების დღეებში მიმართულია საყვარელ ამხანაგ სტალინისადმი.

მედგრად და სიხარულით ვუყურებთ ჩვენს მინდვრებს, ჩვენს პლანტაციებს, ბაღჩებს, ბოსტნებს. ჩვენ ისინი ამ სასტიკ დღეებში დავთესეთ, როდესაც ჩვენი მებრძოლები ბერლინის საფრთხოდ მიდიოდნენ, როდესაც ვერაგი მტერი ზღავდა იმ უბედურებისათვის, რაც მან ჩვენს ხალხს მიაყენა. ჩვენ ვამაყობდით იმით, რომ ჩვენი შრომა უერთდებოდა გამარჯვებულ მეომრების სამხედრო საქმეებს. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ კოლმეურნეთა თავდადებული შრომა დაეხმარა წითელ არმიას ძლევამოსილად დაემთავრებინა ომი და მტკიცე და ურღვევი მშვიდობიანობა მოეპოვებინა. პური იყო უბადლო იარაღი ომში. პური წარმოადგენს მძლავრ იარაღს ამჟამად, როდესაც ჩვენი ხალხი იბრძვის ომის შედეგების ლიკვიდაციისათვის, მეურნეობის აღდგენისათვის.

პარტიამ და მთავრობამ მოუწოდეს მთელს კოლმეურნე გლეხობას დროულად და გულმოდგინედ აიღოს მოსავალი, მთლიანად შეასრულოს თავისი ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარებაში. მოსავლის აღება — საყოველთაო სახალხო საქმეა, სახელმწიფოს წინაშე ჩვენი პასუხისმგებლობის სრული შეგნებით ვიწყებთ ამ საქმეს.

ომიანობის წლებში ნადეჟდინსკის მტს-ის მუშაკთა კოლექტივი ცდილობდა რაც შეიძლება მეტი დახმარება გაეწია თავისი მუშაობით ფრონტისათვის. ამ წლების განმავლობაში მტს-მა პირველი ადგილი მოიპოვა სარატოვის ოლქის 178 მტს-ს შორის. მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდა თესვის, მინდვრების მოვლის, მოსავლის აღების გეგმებს, კოლმეურნეობებში გაწეული მუშაობის ნატურანაზღაურების გეგმებს. მტს-ი მიისწრაფოდა იმისაკენ, რომ ომიანობის მძიმე ხანაში იმ კოლმეურნეობებს, რომლებსაც იგი ემსახურებოდა, განევითარებინათ და გაეუმჯობესებინათ თავიანთი მეურნეობა, რათა ეს მეურნეობა აღმავლობის გზით წარმართულიყო. ჩვენი კოლექტივი ომის წლებში ცდილობდა ტექნიკისაგან მიეღო ყველაფერი, რის მოცემაც მას შეეძლო. ნიკოლოზ სანჟარევსკის ბრიგადამ შარშან სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა 380 პროცენტით შეასრულა, ყოველი თვლიანი ტრაქტორით 1.165 ჰექტარი დამუშავა და დამუშავებულ მინდვრების მოსავლიანობა ორ-ნახევარჯერ გაზარდა. მისმა ძმამ სტეფანე სანჟარევსკიმ კომბაინით მოსავალი აიღო 1.044 ჰექტარზე. ამ ბრიგადების გამოცდილება იმას მოწმობს, რომ ომის წლებშიც მტს-ის კოლექტივი ნიადაგის დამუშავებისა და მცენარეთა მოვლის უფრო სრულყოფილი და ქმედითი საშუალებების გამოყენებით, მიისწრაფოდა სოციალისტური მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისაკენ.

ხუთი წელია ჩვენი კოლექტივი ეჯიბრება მეზობელ ზახარკინსკის მტს-ს. ომის წლებში კარგი მუშაობისათვის ჩვენს მტს-ს სამჯერ გადაეცა სსრ კავშირის მიწსახკომისა და პროფკავშირების სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. და ამჟამად, როდესაც ჩვენ მოსავლის აღებისა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების პერიოდში შევდივართ, შეჯიბრება ჩვენი მომავალი დიდი და რთული მუშაობის წარმატების აუცილებელ პირობად მიგვაჩნია.

ჩვენ მოკლე ვადებში უნდა ავიღოთ 16.894 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურების მოსავალი. ამ მიზნით ჩვენ შევაკეთეთ და მუშაობისათვის მოვამზადეთ ყველა კომბაინი, სამკელი, სალეწი და დამხარისხებელი მანქანები. ყველა სამუშაო დაგეგმილია ისეთნაირად, რომ არ იქნეს დაშვებული მავნე რიგითობა მათ შესრულებაში. ყველა ნაკვეთები მიმაგრებულია ბრიგადებს, რგოლებსა და აგრეგატებზე.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ მოგმართავთ მოწოდებით მტს-ების ყველა მუშაკს: მოვაწყოთ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება 1945 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სანიმუშოდ ჩატარებისათვის.

ამ შეჯიბრებაში ჩვენ ვიღებთ შემდეგ ვალდებულებებს:

1. უზრუნველვყოთ მოსავლის აღებაში ყველა ტრაქტორების, კომბაინებისა და მოსავლის ასაღები სხვა მანქანების, სალეწი მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების განუწყვეტელი მუშაობა, რისთვისაც სანიმუშოდ და ყოველდღიურად განვახორციელოთ ტრაქტორების, კომბაინების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების ტექნიკური მოვლა.
2. მოსავლის აღების პერიოდში „სტალინეცის“ მარკის თითოეული კომბაინით საშუალოდ ავიღოთ არა ნაკლებ 600 ჰექტარისა, კომბაინ „კომუნარით“ არა ნაკლებ 400 ჰექტარისა.
3. 17 სამუშაო დღეში დავამთავროთ მარცვლეულ კულტურების აღება ჩვენს მომსახურებაში მყოფ ყველა კოლმეურნეობაში.
4. მოვაწყოთ ყოველდღიური ბრძოლა დანაკარგებთან მოსავლის აღების, ლეწვისა და შენახვის დროს.
5. არა უგვიანეს 15 ოქტომბრისა მივაღწიოთ თითოეულ კოლმეურნეობაში გაწეული მუშაობისათვის ნატურანაზღაურების გეგმების მთლიანად შესრულებას.
6. მოსავლის აღებასა და პურის ჩაბარებასთან ერთად, განსაკუთრებული გულმოდგინებით დავამუშაოთ ანეულები, 10 სამუშაო დღეში ჩავატაროთ საშემოდგომო კულტურების თესვა და 10 ოქტომბრამდე დავამთავროთ მზრალად ხვნა.

ძვირფასო ამხანაგებო, კომბაინერებო და ტრაქტორისტებო, კოლმეურნეებო, საბჭოთა მიწა-წყლის ყველა მშრომელებო! სამშობლო მოელის ყველა ჩვენგან, საკოლმეურნეო სოფლის ადამიანებისაგან, თავდადებულ შრომას მინდვრებში. მოვახმაროთ მთელი ჩვენი ენერგია, მთელი ჩვენი ძალები, მთელი ჩვენი გამოცდილება სოფლის მეურნეობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების საქმეს! სანიმუშოდ ჩავატაროთ მოსავლის აღება და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა გლეხობას!

გაუმარჯოს ჩვენს ბელადს, საყვარელ მამასა და მასწავლებელ ამხანაგ სტალინს!

**ნადეჟდინსკის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების დავალებით მიმართვას ხელს აწერენ:**

მტს-ის დირექტორი **კუზმა გოლოხვასტოვი**
მტს-ის პარტორგანიზაციის მდივანი **ლეონტი ტოლსტოვი**
უბნის აგრონომი **ვასილი კუსტოვი**
№ 9 სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი **ნიკოლოზ სანჟარევსკი**
№ 1 სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი **ათანასე მიშუნინი**
მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოს გამგე **პაველ გრაჩოვი**
ზეინკალი-ელექტრიკოსი **ი. ივჩინნიკოვი**
შემდუღებელი — **ალექსანდრე სინიჩკინი**
კომბაინერი — **ალექსანდრა ზინოვიევა**
კომბაინერი — **პეტრე ზიმინი**
ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **თევდორე გუბარკოვი**
„ოქტომბრის მე-14 წლისთავის“ სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **მიხეილ სლაშჩევი**

# უკანასკნელი ცნობები

## ინგლისის ახალი მთავრობის შედგენა

**ლონდონი,** 27 ივლისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, პრემიერ-მინისტრმა კლემენტ ეტლიმ დღეს გამოაცხადა შემდეგი დანიშვნები მთავრობის პოსტებზე:

**პრემიერ-მინისტრი** — კლემენტ რიჩარდ ეტლი;

**ლორდი-საბჭოს თავმჯდომარე** — ჰერბერტ მორისონი;

**საგარეო საქმეთა მინისტრი** — ერნესტ ბევინი;

**ლორდი-ბეჭდის მცველი** — არტურ გრინვუდი;

**ფინანსთა მინისტრი** — ჰიუ დალტონი;

**ვაჭრობის მინისტრი** — სტაფორდ კრიპსი;

**ლორდი-კანცლერი** — უილიამ ჯოუიტი.

**ლორდი-საბჭოს თავმჯდომარე** — ჰერბერტ მორისონი იქნება თემთა პალატის ლიდერი.

ეტლიმ განაცხადა, რომ შემდგომი დანიშვნები გამოცხადდება თავის დროზე.

## ეტლის განცხადება

**ლონდონი,** 26 ივლისი. (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, ეტლიმ თავის განცხადებაში, რომელიც გააკეთა მას შემდეგ, რაც არჩევნების შედეგი გამოირკვა, სთქვა:

„მე არავითარი ილუზია არა მაქვს იმ ძნელი ამოცანების გამო, რომლებიც მოელიან ინგლისსა და მთელს მსოფლიოს უახლოესი რამდენიმე წლის მანძილზე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ შევძლებთ საქმე წარმატებით დავაგვირგვინოთ და უზრუნველვყოთ ისეთი მდგომარეობა, როცა აღარ განვიცდით პერიოდულ მსოფლიო ომებს ან პერიოდულ მსოფლიო დეპრესიებს. მე ვფიქრობ ჩვენ ვიმყოფებით კაცობრიობის მოდგმის დიდი პროგრესის წინ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საჭიროა არა მარტო მუშაობა, რომელიც უნდა გავწიოთ რეკონსტრუქციის დარგში, არამედ, უწინარეს ყოვლისა, თანამშრომლობა სხვა ერებთან და განსაკუთრებით ჩვენს დიდ მოკავშირეებთან—ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირთან“.

## ინგლისის პარლამენტის არჩევნების შედეგი

**ლონდონი, 27** ივლისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტომ გადმოგვცა, საბოლოო ცნობების თანახმად, 627 საარჩევნო ოლქში ინგლისის პარლამენტში არჩეულია 390 ლეიბორისტი, 195 კონსერვატორი, 11 ლიბერალი, 14 ნაციონალ-ლიბერალი, 10 დამოუკიდებელი, 2 კომუნისტი და სხვ. 12 საუნივერსიტეტო საარჩევნო ოლქის არჩევნების შედეგი გამოცხადდება მომავალ კვირაში, და ერთ საარჩევნო ოლქისა, სადაც მოკვდა ლეიბორისტთა კანდიდატი, რომელსაც იქ კენჭი უნდა ეყარა, — 9 აგვისტოს.

სულ ახალი პარლამენტის შემადგენლობაში იქნება 640 წევრი, ნაცვლად 1935 წლის არჩევნებში არჩეული 615 წევრისა.

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს VIII სესიის გახსნისათვის

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს VIII სესია გაიხსნება ა. წ. 30 ივლისს საღამოს 8 საათზე თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატიული თეატრის შენობაში.**

* * *

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს 28 და 29 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობაში (ოთახი № 3) დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 6 საათამდე, საღამოს 8 საათიდან 12 საათამდე; 30 ივლისს — დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 6 საათამდე იქვე, ხოლო საღამოს 6 საათიდან — გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატიული თეატრის შენობაში.**

# პარტიული ცხოვრება

## საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

**ჭიათურა** („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორი საკითხი: 1. ქალაქის კეთილმოწყობის შესახებ და 2. პარტიულ ორგანიზაციებში მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის დაყენების შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა მშრომელთა დეპუტატების ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ვ. კაპანაძემ. მან მოიყვანა ციფრობრივი მაჩვენებლები, საიდანაც ერთი შეხედვით სჩანდა თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ შემდეგ დაასახელა ნაკლოვანებები, სთქვა, რომ სამი სახლი ავარიულ მდგომარეობაშია, ათობით სახლი კაპიტალურ რემონტს მოითხოვს, ქუჩებს შეკეთება ესაჭიროება, ქალაქში ანტისანიტარული მდგომარეობაა, საკოლმეურნეო ბაზარს შეკეთება უნდა, საზოგადოებრივი სარგებლობის საპირფარეშო აგებული არ არის. ყველაფერი ეს ამხ. კაპანაძემ მასალებისა და კადრების ნაკლებობით ახსნა.

კამათში პირველი გამოვიდა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების გამგე ამხ. პ. ბარბაქაძე. მანაც ილაპარაკა მასალების სიმცირეზე და კადრების ნაკლებობაზე, მაგრამ არაფერი სთქვა ინიციატივასა და თაოსნობაზე, არაფერი სთქვა იმაზე, რომ კომუნალურმა განყოფილებამ ჭიათურაში ფონდირებული ცემენტის მოტანაც კი ვერ შესძლო.

ამხ. ქ. ტყემალაძემ ილაპარაკა სკოლებში წყლის მიწოდებისა და განათების მოუწესრიგებლობაზე, რემონტის დაჩქარების აუცილებლობაზე.

მარგანეცის ტრესტის მმართველმა ამხ. გ. ანდღულაძემ გააკრიტიკა ქალაქის კეთილმოწყობის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი. მან აღნიშნა, რომ ქალაქის გამწვანებას ნაკლები ყურადღება ექცევა. წელს ამ დარგში ცოტა რამ გაკეთდა, მაგრამ ნარგავები მოუვლელობით ხმება, ან პირუტყვისაგან ნადგურდება. ქუჩების დასუფთავება და კეთილმოწყობა მეტ მზრუნველობას მოითხოვს.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. შეყილაძე (წყალსადენი) და გ. სხილაძე (სასტუმრო).

მეორე საკითხზე პლენუმმა მოისმინა საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ამხ. ლ. გეგეშიძის მოხსენება. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. გ. მარუაშვილმა (ქალაქის საბჭო), გ. თოდაძემ (სტალინის სახელობის მაღარო), ვ. თურქაძემ (ლენინის სახელობის მაღარო), გ. ხარშილაძემ (პოლიკლინიკა), ვ. კიკნაძემ (ბერიას სახელობის მაღარო), ი. სამხარაძემ (ქალკომის პროპაგანდისტი), მ. მოდებაძემ (პარტკაბინეტი).

რა გამოირკვა? ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებში პროპაგანდისტულ მუშაობას ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს. ბევრი ამხანაგი წიგნზე დამოუკიდებლად არ მუშაობს. პირველ რიგში ეს პარტიულ და სამეურნეო აქტივზე ითქმის. პარტიული ორგანიზაციები ნაკლებ ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევენ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებს. მაღაროებში შექმნილია პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრეები, მაგრამ ეს წრეები, დამაკმაყოფილებლად ვერ მუშაობენ. განსაკუთრებით დაბალია სწავლების ხარისხი. ზოგ მსმენელს მეცადინეობის 10-15 და მეტი გაცდენა აქვს.

ბევრი ითქვა ლექციური პროპაგანდის ნაკლზეც. მართალია, ლექციები იმართება, მაგრამ არაორგანიზებულად. ლექციაზე ხშირად შემთხვევით ხალხს აგროვებენ. ხელმძღვანელი მუშაკები ლექციას იშვიათად ესწრებიან.

წელს თეორიული კონფერენციები საწარმოო-დაწესებულებებში შვიდჯერ ჩატარდა, მაგრამ ისინი უფრო ლექციებს წააგავდა. აუდიტორიის მსჯელობაში მონაწილეობა არ მიუღია. იშვიათი იყო შეკითხვებიც.

ორივე საკითხზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ა. სხილაძე. მან ილაპარაკა როგორც ქალაქის კეთილმოწყობის, ისე პროპაგანდისტული მუშაობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე.

პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილებანი.

დასასრულ, პატარა შენიშვნა: პლენუმმა ქალაქის კეთილმოწყობაზე საკმაოდ ვრცელი დადგენილება მიიღო. ერთი წლის წინათაც ამსჯელა პლენუმმა ქალაქის კეთილმოწყობის საკითხზე. მაშინაც კარგი დადგენილება მიიღეს, მაგრამ მის შესასრულებლად ბევრი არაფერი გაკეთებულა. აქედან ერთი რამ ცხადია: დადგენილებათა შესრულებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. თუ დასახული ღონისძიებანი არ განხორციელდება რა ფასი აქვს ასეთ დადგენილებას?

პ. ჭიოკაძე

## კომკავშირს ყოველდღიური პარტიული ხელმძღვანელობა

**ცხაკაია** („კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან). ათასამდე კომკავშირელი თავდადებულად მუშაობს საკოლმეურნეო მინდვრებზე. 260 კომკავშირელმა სტახანოველის საპატიო სახელი დაიმსახურა. რაიონის ბევრმა პირველადმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ პარტიული ორგანიზაციების დახმარებით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სასოფლო სამეურნეო სამუშაოებში.

სოფელ უშაფათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (კომკავშირის კომიტეტის მდივანი ნაზია კუჭავა) ყველგან იგრძნობა კომკავშირელთა საქმიანობა. კოლმეურნეობაში 16 კომკავშირელი მუშაობს და მათგან 14 სტახანოველია. კომკავშირის კომიტეტის მდივანმა შარშან 1.218 შრომადღე გამოიმუშავა. წელს პირველი მაისისათვის მის შრომის წიგნაკში 459 შრომადღე იყო ჩაწერილი.

ნაზია კუჭავას სახელი ცნობილია მთელს რაიონში. იგი 15 კილოგრამის ნაცვლად დღეში 500-600 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს კრეფს. ასეთი დაძაბული შრომა სრულიად არ უშლის მას ხელს კარგად შეასრულოს თავისი კომკავშირული მოვალეობა, ფართოდ გაუზიაროს ახალგაზრდობას თავისი გამოცდილება. ამ ნაყოფიერი შრომისათვის იგი ოთხგზის მედალოსანია.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფაზე წარმატებით მუშაობს თათუშა გოგინავა, რომელიც ნორმებს ოთხმაგად ასრულებს.

სტალინის სახელობის ახალსოფლის კოლმეურნეობაში 10 ბრიგადაა და რვას კომკავშირელები ხელმძღვანელობენ. საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის დახმარებით ეს ბრიგადები მოწინავენი არიან კოლმეურნეობაში. ბრიგადამ, რომელსაც კომკავშირელი ვ. ხოჩია ხელმძღვანელობს, პირველმა დაამთავრა ხვნა-თესვა. კომკავშირში ახალმიღებული ახალგაზრდები ა. ხუბუნარია და ლ. დავითაია ყოველდღიურ დავალებებს 200-250 პროცენტით ასრულებენ.

საგაზაფხულო სამუშაოებში მისაბაძი მაგალითი გვიჩვენეს სოფელ ფოცხოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის (მდივანი სამამულო ომის მონაწილე გ. სიორდია), წევრებმა. საკოლმეურნეო მინდვრებში 15 კომკავშირელი მუშაობს, ყველა ისინი სტახანოველები არიან. წარმატებით მუშაობს მედალოსანი თამარ ჯანჯღავა. იგი მეორე ბრიგადის № 2 რგოლს ხელმძღვანელობს. რგოლმა დროზე და მაღალხარისხოვნად ჩაატარა ჩაის პლანტაციებში ყველა სახის სამუშაოები და ახლა გაცხოველებით მუშაობს სიმინდის თოხნაზე.

პარტიის რაიონული კომიტეტის დახმარებით კომკავშირელებმა საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადების დღეებში მინდვრად გაიტანეს 3.000 ტონა ნაკელი, ახალგაზრდობის ძალებით დაამზადეს ჩაის კრეფისათვის საჭირო 100-მდე კალათი, შექმნეს უხვი მოსავლის 50 ახალგაზრდული რგოლი, გეგმის გადამეტებით დასთესეს 15 ჰექტარი ერთწლიანი კულტურები, ფრონტელთა ბავშვებისათვის შეაგროვეს სხვადასხვა პროდუქტები, რაიონის მტს-ს გადასცეს 1.500 მანეთის ღირებულების ტრაქტორებისა და მისაბმელ მანქანათა ნაწილები.

ამ მიღწევებთან ერთად არის ნაკლოვანებებიც.

სოფელ ოქტომბრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში 11 კომკავშირელი მუშაობს. ზოგ მათგანს პირველი იანვრიდან გამომუშავებული აქვს მხოლოდ 20-50 შრომადღე, მაშინ როცა ამავე კოლმეურნეობის წევრს 70 წლის მოხუც ქ. შაფათავას შრომის წიგნაკში 100 შრომადღე აქვს ჩაწერილი. სუსტად არის გაშლილი სააგიტაციო მუშაობა ახალგაზრდობაში.

უკეთესი მდგომარეობა არც სოფელ ნოსირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირულ ორგანიზაციაშია (მდივანი მ. ალანია). იქ 18 კომკავშირელიდან მხოლოდ სამია სტახანოველი. კომკავშირელი ბესელიები, ნ. გვაზავა და სხვები ხშირად თავს არიდებენ მუშაობას. პ. ბესელიას 4 თვის განმავლობაში მხოლოდ 6 შრომადღე აქვს გამომუშავებული, ნ. გვაზავას — 8 და თ. ბესელიას — 7.

დამახასიათებელია ერთი ფაქტიც: კოლმეურნეობის კანტორის ეზოში დარგული ციტრუსები მოუვლელობის მიზეზით გახმა. ნარგავების მოვლისათვის კომკავშირულ ორგანიზაციას თავი არ შეუწუხებია.

პირველადი პარტიული ორგანიზაცია სათანადოდ არ ეხმარება კომკავშირულ ორგანიზაციას, არ ზრუნავს იმისათვის, რომ კომკავშირელები კოლმეურნეობაში მოწინავენი იყვნენ.

კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობაში წარმატება ყოველდღიურ სწორ პარტიულ ხელმძღვანელობასა და დახმარებაზეა დამოკიდებული. ეს კარგად უნდა გვახსოვდეს ყოველთვის.

შ. ჭოჭუა

## ჩაის ფოთლის კრეფა

(საქართველოს ჩაის ტრესტის 26 ივლისის ცნობებით)

| რაიონები | წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით | ივლისის გეგმის შესრულება წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით პროცენტობით | რაიონები | წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით | ივლისის გეგმის შესრულება წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით პროცენტობით |
|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 44,7 | 26,5 | ქუთაისი | 37,0 | 29,8 |
| ქობულეთი | 33,9 | 23,2 | წყალტუბო | 65,6 | 73,7 |
| გალი | 50,6 | 47,0 | ტყიბული | 54,4 | 57,2 |
| ოჩამჩირე | 58,4 | 71,3 | ცხაკაია | 53,0 | 65,6 |
| გულრიფში | 43,6 | 40,3 | აბაშა | 81,0 | 131,0 |
| სოხუმი | 56,0 | 38,5 | გეგეჭკორი | 51,8 | 55,6 |
| გუდაუთი | 52,2 | 33,1 | ზუგდიდი | 41,0 | 36,2 |
| მახარაძე | 41,8 | 37,2 | წალენჯიხა | 35,6 | 26,0 |
| ჩოხატაური | 54,9 | 68,5 | ჩხოროწყუ | 35,7 | 27,1 |
| ლანჩხუთი | 32,6 | 28,1 | ხობი | 33,2 | 30,0 |
| სამტრედია | 62,8 | 85,0 | ჩხარი | 93,0 | 112,0 |
| წულუკიძე | 30,7 | 24,0 | ზესტაფონი | 56,0 | 75,0 |

ბათუმის, გულრიფშის, სოხუმის, ლანჩხუთის, წულუკიძისა და სამტრედიის რაიონების ცნობები არასრულია.

## ნაზია კუჭავას ახალი წარმატება

ცხაკაიას რაიონის სოფელ უშაფათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ცნობილი სტახანოველი ნაზია კუჭავა ახალ წარმატებებს აღწევს. იგი ჩაის კრეფის ყოველდღიურ ნორმებს 400-500 პროცენტით ასრულებს. ამასწინათ მან ახალი წარმატება მოიპოვა: მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 506 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი და ამით იმ დღეს 80 შრომადღე გამოიმუშავა.

გ. შეროზია

„აზოვსტალის" მარიუპოლის მეტალურგიული ქარხნის აღდგენაზე თავდადებულად მუშაობს როზა ფომინა.

ფოტო ს. ნორდშტეინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## პეტენის გასამართლება

### მეოთხე დღე

**პარიზი**, 26 ივლისი. (საკდესი). როგორც პარიზის რადიო გადმოგვცემს, დღეს შესდგა სასამართლოს მეოთხე სხდომა პეტენის საქმის გამო. სასამართლომ მოისმინა მოწმის, სენატის ყოფილი თავმჯდომარის ჟიულ ჟანენეს ჩვენება. მან განაცხადა, რომ პეტენის მიერ ძალა-უფლების მიღების მეორე დღესვე აბსოლუტისტური რეჟიმი ფაქტი გახდა. ორივე პალატა დათხოვნილ იქნა და მერმე აღარ შეკრებილა. უპასუხა რა პეტენის დამცველის კითხვაზე ლავალის ზეგავლენის შესახებ, მოწმემ განაცხადა: მე ვიცოდი, რომ ლავალი ეწეოდა მავნე საქმიანობას, რაც მიმართული იყო დროებითი ზავის უსწრაფესი დადებისაკენ. ლავალი და პეტენი ერთი და იმავე მიზნით მოქმედებდნენ. დროებითი ზავი, აცხადებს ჟანენე, მიუტევებელი აქტი იყო. ღირსება გვიკარნახებდა წინააღმდეგობა მოგვეწყო.

შემდეგ სასამართლო იწყებს მოწმე ლუი მარენის დაკითხვას.

სასამართლო იწვევს მოწმე გაზელს, რომელიც ატაშედ მუშაობდა საფრანგეთის მადრიდის საელჩოში 1935 წელს. იგი აცხადებს: პეტენი ჯერ კიდევ ესპანეთში ელჩად ყოფნის დროს გვიჩვენებდა იმ პირთა სიას, რომლებიც მინისტრები იქნებოდნენ, თუ მას ხელისუფლების სათავეში დააყენებდნენ. ამ სიაში მუდამ იყო ლავალის გვარი.

გაზელის დაკითხვის შემდეგ სასამართლოს სხდომა იხურება.

• • •

**პარიზი**, 27 ივლისი. (საკდესი). დღეს სასამართლოში პეტენის საქმის გამო როგორც მოწმეს ჩვენება უნდა მიეცა ედუარდ ერიოს, მაგრამ ამ მოწმის ავადმყოფობის გამო მისი დაკითხვა გადაიდო. სასამართლომ მოისმინა მოწმე ლეონ ბლუმის ჩვენება. ბლუმს პეტენი დამნაშავე მიაჩნია იმაში, რომ მან რესპუბლიკა გასცა და სახელს უტეხდა საფრანგეთს. შემდეგ სასამართლო შეუდგა მოწმე შარლ რუს დაკითხვას.

## ირანში საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციის ყოფნა

**თეირანი**, 26 ივლისი. (საკდესი). 23 ივლისს ჩალუსში, რეშტში, ფეხლევიში, ყაზვინში მგზავრობიდან თეირანს დაბრუნდა საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია.

ჩალუსში საბჭოთა დელეგატებმა ინახულეს სახელმწიფო აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა, სადაც შესდგა მიტინგი, რომელშიც 3.000-ზე მეტმა მუშამ მიიღო მონაწილეობა. ამავე საღამოს დელეგატები შეხვდნენ ჩალუსის პროფკავშირების ხელმძღვანელებს, რომლებმაც აღნიშნეს ირანისა და სსრ კავშირის პროფკავშირებს შორის კავშირის დამყარების აუცილებლობა.

20 ივლისს საღამოს რეშტის ცენტრალურ მოედანზე შესდგა მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ხუთი ათასზე მეტმა კაცმა. საბჭოთა პროფკავშირების სახელით მიტინგის მონაწილეებს მიესალმა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი ბორისოვი. მიღებულია რეზოლუცია, რომელშიც მიტინგის მონაწილენი მიესალმნენ პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს. იმავე დღეს საბჭოთა პროფკავშირების დელეგატები, ირანის პროფკავშირების წარმომადგენლებთან ერთად, მიიღო გენერალ-გუბერნატორმა ფარზანემ.

რეშტიდან დელეგაცია ქალაქ ფეხლევიში გაემგზავრა. ძლიერი წვიმის მიუხედავად დელეგაციას მრავალი მუშა და მოსამსახურე შეხვდა. შესდგა დიდი მიტინგი, რომლის შემდეგ დელეგაცია გუბერნატორმა მიიღო.

თეირანში დაბრუნებისას, გზაზე დელეგაციამ ქალაქი ყაზვინი ინახულა. საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციას ყველგან მეგობრულ შეხვედრებს უწყობდნენ. საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციის სახით მუშები და მოსამსახურეები მიესალმებოდნენ გმირ წითელ არმიასა და საბჭოთა ხალხს.

## ირანელი რეაქციონერების ანტისაბჭოთა ოინები

**თეირანი**, 24 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „ნეჯათე ირანმა" მოათავსა მოწინავე სტატია, რომელშიც სწერს, რომ ჯერ კიდევ ორი წლის წინათ თეირანში შეიქმნა ანტისაბჭოთა კომიტეტი სეიდ ზია ედინისა და მისი ხროვის მეთაურობით. ანტისაბჭოთა აქტების განსახორციელებლად კომიტეტი იყენებს ხულიგნებსა და ბანდიტებს. სეიდის ხელისუფლად ყოფნის დროიდან ეს კომიტეტი იხწრაფვის თავისი წევრებისა და აგენტებისაგან შექმნას მთავრობა, რათა რაც შეიძლება მალე მიაღწიოს თავის მიზანს — ძირი გამოუთხაროს საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობას.

## ნორვეგიის მუშათა და კომუნისტური პარტიების გაერთიანების პროექტი

**ოსლო**, 27 ივლისი. (საკდესი). ნორვეგიის მუშათა და კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელმა ორგანოებმა გამოაქვეყნეს ცნობა პოლიტიკურ და ორგანიზაციულ გაერთიანებაზე პრინციპული თანხმობის შესახებ და საფუძვლად მიიღეს გაერთიანების პროექტი, რომელიც 19 ივლისს შეიმუშავა პროფკავშირული გაერთიანების სამდივნომ.

ამ პროექტში ნათქვამია, რომ ნორვეგიის მუშათა პარტიისა და ნორვეგიის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციული გაერთიანება უნდა მოხდეს სტორტინგის საშემოდგომო არჩევნებამდე იმ ვარაუდით, რომ საარჩევნო კამპანიის ჩატარება გაერთიანებულმა პარტიამ შესძლოს ყველა პროფკავშირის მონაწილეობით. პარტიების გაერთიანება ტარდება მათი ყრილობების დადგენილებით. გაერთიანება ხდება ფრაქციების შეუქმნელად. გაერთიანებულ პარტიას ერქმევა „ნორვეგიის მუშათა პარტია" (გაერთიანებული მუშათა პარტიები).

საბოლოო დადგენილება გაერთიანების შესახებ უნდა გამოიტანოს გამაერთიანებელმა ყრილობამ ოსლოში 1945 წლის 2 სექტემბერს.

## ინგლისში გამოქვეყნდა დოკუმენტი ახლო აღმოსავლეთში ინტერნირებული ბერძნების აბუჩად აგდების შესახებ

**ლონდონი**, 27 ივლისი. (საკდესი). 25 ივლისს გაზეთებმა „დეილი ჰერალდმა" და „დეილი უორკერმა" ცნობა გამოაქვეყნეს, რომ საბერძნეთის პრეს-სააგენტომ მარტ პრესმა ლონდონში გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სერიოზულ ბრალდებებს იმის შესახებ, რომ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში ინტერნირებულ ბერძნებს ცუდად ეპყრობიან.

გაზეთ „დეილი ჰერალდის" დიპლომატიური მიმომხილველი იუერი სწერს, რომ ძირითადი ბრალდება არის შემდეგი: „თუმცა ინგლისის მთავრობამ აშკარად განაცხადა, რომ მას სურს, რათა ბერძნები ამნისტირებულ იქნან, მაგრამ 4 ათასამდე ბერძენი დღემდე საკონცენტრაციო ბანაკებში იმყოფება ეგვიპტეში, სუდანში, ლიბიასა და ერიტრეაში. ათი კაცი ბანაკში ჰყავთ იმისათვის, რომ მათ წილი უდევთ ანტიმონარქისტულ ამბოხებებში საბერძნეთის ფლოტსა და არმიაში, რაც გასული წლის დამდეგს მოხდა. პირველი კითხვები, რომლებიც ადამიანს აზრად მოსდის, არის, რატომ ჰყავთ ისინი საერთოდ ბანაკში და რატომ არ აძლევენ მათ სამშობლოში გამგზავრების ნებას? იუერს მოჰყავს შემდეგი ორი ბრალდება: „დეკამარის ბანაკში 1944 წლის 12 აგვისტოს კეტებითა და ჯოხებით შეიარაღებულმა სუდანის ორი ათასმა მცხოვრებმა სცემა და მთლად გაძარცვა 1.100 ბერძენი, რომლებიც უსმელ-უჭმელი იმყოფებოდნენ სამი დღის განმავლობაში. ტრაქომით დაავადებულთ წყალს არ აძლევდნენ თვალის მოსაბანად. ორმა ბერძენმა ექიმმა განაცხადა, რომ 30 ტუბერკულოზიან პაციენტთაგან მხოლოდ ხუთი გაგზავნეს ჰოსპიტალში, ხოლო ტრაქომით დაავადებული 150 კაცი ჯანმრთელ ადამიანებთან მოათავსეს გავსებულ ბარაკებში".

იუერმა აღნიშნა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ მოხდეს გულმოდგინე კვლევა-ძიება და სწერს: „საბერძნეთში სოფიანოპულოსის გადადგომა ახლანდელ მთავრობას კიდევ უფრო რეაქციულ მთავრობად ხდის... სოფიანოპულოსი ის ადამიანია, რომელიც სერიოზულად აწარმოებდა მოლაპარაკებას ვარკიზის შეთანხმების შესახებ, რის შესაბამისადაც ეამის ჯარები დათანხმდნენ იარაღი აეყარათ და დაშლილიყვნენ. იგულისხმებოდა, რომ ვულგარისის მთავრობაში მის მონაწილეობას უნდა მიეცა იმის გარანტია, რომ შეთანხმება პატიოსნად შესრულდებოდა. თვითონ სოფიანოპულოსი იმთავითვე გრძნობდა შეშფოთებას შეთანხმების შესრულების საკითხის გამო. სანფრანცისკოში რომ მივდიოდით, სოფიანოპულოსმა მითხრა: მთავრობაში დავრჩები, თუ შინ დაბრუნების შემდეგ დავინახავ, რომ ხელმოწერილი შეთანხმება სრულდება. სხვა შემთხვევაში გადავდგებით.

სოფიანოპულოსი გადადგა. დასკვნა ნათელია".

## დეკრეტი ჩეხოსლოვაკიაში კონფისკებული მიწების დასახლების შესახებ

**პრაღა**, 27 ივლისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ე. ბენეშმა ხელი მოაწერა დეკრეტს გერმანელებისა და სახელმწიფოს სხვა მტერთა მიწებზე ჩეხი, სლოვაკი და სხვა სლავ მიწათმოქმედთა დასახლების შესახებ. მიწის ნაკვეთების მიღების უპირატესი უფლება აქვთ იმ პირთ, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სახალხო-განმათავისუფლებელ ბრძოლაში, სახელდობრ: ყოფილ პოლიტიკურ პატიმრებს, მათი ოჯახის წევრებს და ომის დროს დაზარალებულ მიწათმოქმედებს. საკუთრებად გადაცემულ ყოველ მიწის ნაკვეთში გადაახდევინებენ საზღაურს, რის ოდენობაც განსაზღვრულ იქნება იმის მიხედვით, თუ სად არის მიწა, როგორია ნიადაგი, და რა ოჯახური მდგომარეობა აქვს მთხოვნელს.

## ტყვარჩელელთა მიღწევები

**ტყვარჩელი** („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). ტყვარჩელში ახალ წარმატებებს აღწევენ ის უბანთა კოლექტივები, რომლებსაც ამხ. გოთუა, ქარაქაძე და ლაზარენკო ხელმძღვანელობენ. სტალინის სახელობის შახტის მოწინავე მეშახტემ ამხ. ქიტნიკოვმა 1 ივლისისათვის შეასრულა ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა. მეექვსე უბნის მეშახტემ ამხ. ცაბინმა და მებიგემ უსატენკომ ექვსი თვის განმავლობაში საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს წლიური დავალებები. წლიური საწარმოო დავალების შესრულებას ამ დღეებში ამთავრებენ ამხ. მუსტაფა, ედოვინი, კარეტნიკოვი და სხვ.

მაღალნაყოფიერად მუშაობენ ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სატრანსპორტო სამმართველოს მუშაკები და კვეზანელი რკინიგზელები, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან. 18 ივლისისათვის კვეზანელმა რკინიგზელებმა უკვე შეასრულეს ქვანახშირის გაგზავნის ივლისის დავალება და ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ [illegible] დღის აღსანიშნავად [illegible] ქვანახშირით დატვირთული დამატებითი ეშელონები.

შრომითი აღმავლობა, რომელსაც ახლა ადგილი აქვს ტყვარჩელში, კიდევ უფრო გააძლიერა სასიხარულო ცნობამ, რომ ივნისში კარგი მუშაობისათვის ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის კოლექტივს მიეკუთვნა პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოსა და ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის ჯილდო. ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის კოლექტივის სახელზე მიღებულია სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. ვახრუშევის დეპეშა, რომლითაც იგი ტყვარჩელელ მეშახტეებს ულოცავს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებას და მოუწოდებს ახალი მიღწევების მოპოვებისაკენ.

ა. ლეფთერიძე

## აბრეშუმის პარკი გეგმის გადამეტებით

**ცაგერი** (ტელეფონით „კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან). კოლმეურნეებმა 27 ივლისისათვის აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა 118,3 პროცენტით შეასრულეს. სახელმწიფოსათვის გეგმის გადამეტებით ჩაბარებულია 4 ტონა აბრეშუმის პარკი.

სოფელ ტყუბევის კოლმეურნეობაში ფართოდ დანერგეს ქისტაურელთა მეთოდი. ბრიგადამ გამოცდილი მეაბრეშუმე თამარ მეშველიანის ხელმძღვანელობით შესძლო 25 დღეში მიეღო საუკეთესო ხარისხის პარკი და ამრიგად გეგმა შეასრულა 142 პროცენტით. კარგი მოსავალი მოიყვანა კოლმეურნე პაშა ჩარკვიანმა. მან 24 დღეში დაამთავრა აბრეშუმის ჭიის გამოკვება და ნაცვლად 25,8 კილოგრამისა მიიღო 72 კილოგრამი მაღალხარისხოვანი პარკი.

პარკის მიღებას მომზადებულად შეხვდნენ ცაგერის, ალპანის, ოყურეშის, ზუბის, ტვიშისა და ორბელის შემსყიდველი და დამამზადებელი პუნქტები.

პარკის დამზადება გრძელდება.

ბ. თათარიშვილი

## მოზარდთა შეჯიბრება მსუბუქ ძლეოსნობაში

28 ივლისს 5 საათზე ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე გაიხსნება მოზარდთა შეჯიბრება მსუბუქ ძლეოსნობაში. შეჯიბრების პროგრამაშია რბენა 100, 300, 500 და 1000 მეტრზე, საესტაფეტო რბენა, ხტომა სიგრძესა და სიმაღლეზე, გრანატებისა და ბადროს ტყორცნა.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ-ოსეთის, ქუთაისისა და ფოთის ნაკრები გუნდები. თბილისიდან მონაწილეობს ორი გუნდი.

შეჯიბრების მონაწილეთა შორის არიან: სსრ კავშირის 1944 წლის ჩემპიონი მოზარდთა შორის რბენაში 100 და 1000 მეტრზე და საქართველოს რეკორდსმენი რბენაში 5 ძირითად დისტანციაზე ლეო სანაძე, რომელმაც წელს ოქროს მედალზე დაამთავრა რკინიგზის მესამე სკოლა; სსრ კავშირის 1944 წლის ჩემპიონი შუბისა და გრანატის ტყორცნაში ქალიშვილთა შორის ევგენია კოკოევა (სტალინირიდან); საქართველოს რეკორდსმენები — თბილისის მე-14 ქალთა სკოლის მოსწავლე ლ. სუქიასოვა, 35-ე ქალთა სკოლის მოსწავლე ა. პოლევიროვა, დ. გოგაძე და სხვ.

შეჯიბრება ორ დღეს გასტანს.

# ხელოვნების ქრონიკა

## ჭიათურის თეატრის დადგმები

**ჭიათურა** („კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან). ჭიათურის სახელმწიფო თეატრმა (დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ს. ცომაია) გასულ სეზონში მაყურებელს ბევრი ახალი დადგმა უჩვენა. აქ დაიდგა ს. კლდიაშვილის „ირმის ხევი", შიუკაშვილის „სულელი", რუდნევისა და ვსევოლოჟსკის „მკაცრი დღეები", ა. სუმბათაშვილის „ღალატი", მ. ჯაფარიძის „ქამთაბერის ასული", ვ. კანდელაკის „ლევანუხუს ხმალი", გ. ბერძენიშვილის „ტირიფის ქვეშ". რეჟისორებად მუშაობდნენ ს. ცომაია, გრ. ტყაბლაძე და მ. ვაშაძე. სპექტაკლები მხატვრულად გააფორმა მხატვარმა მ. აბჟანდაძემ.

მაყურებელთა შორის დამსახურებული პოპულარობით სარგებლობენ მსახიობები გრ. ტყაბლაძე, მ. ვაშაძე, ბ. რომანიშვილი, ბ. დურმიშიძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი გ. ნუცუბიძე, ახალგაზრდა მსახიობი ბ. ვაშაძე.

თეატრების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე თეატრის კოლექტივი წარსდგა პიესებით: „ღალატი", „ლევანუხუს ხმალი" და „ტირიფის ქვეშ", რომლებმაც კომისიის მოწონება დაიმსახურეს.

მომავალ სეზონში დაიდგმება ს. შანშიაშვილის „ხევის ბერი გოჩა", ქ. სიმონოვის „ასეც იქნება", გ. ქელბაქიანის „შესაფერი ჯილდო", ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი", გოლდონის „საპატარძლო აფიშით", ს. მთვარაძის „საქორწინო მზადება".

თეატრის კოლექტივი მომსახურებას უწევს კოლმეურნეებსაც. თეატრის რამდენიმე დადგმა ნაჩვენები იქნა მაღაროებსა და კოლმეურნეობებში.

## პიონერთა ალპინისტური ლაშქრობა

25 ივლისს დაიწყო ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლის ალპინისტური კაბინეტის მიერ მოწყობილი ლაშქრობა, რომელშიც 30 პიონერი მონაწილეობს. ლაშქრობის მარშრუტი ასეთია: თბილისი, ქუთაისი, გელათი, მაიაკოვსკი, საირმე, მწვერვალი მეფისწყარო, ახალციხე, ვარძია, ბაკურიანი, თბილისი.

ქუთაისში პიონერები დაათვალიერებენ ბაგრატის ტაძრის ნანგრევებს, გაეცნობიან მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, ესტუმრებიან გელათს, შემდეგ ავტომობილით — მაიაკოვსკის რაიონს და კურორტს საირმეს. კურორტზე პიონერები დაისვენებენ და მოემზადებიან მწვერვალზე ასასვლელად, რასაც უხელმძღვანელებს სპორტის ოსტატი ალექსანდრა ჯაფარიძე.

მწვერვალ მეფისწყაროზე ასვლის შემდეგ პიონერები წავლენ ახალციხეში, იქიდან ვარძიაში და ვარძიიდან ბაკურიანში, საიდანაც დაბრუნდებიან თბილისში.

## კინოებში

**28 ივლისს:** **რუსთაველის სახელობის და კომკავშირელი** — (საზაფხულო და ზამთრის) —„ჩარლის დეიდა". **ოქტომბერი** — „ალექსანდრე პოკრიშკინი". **დამკვრელი** — (საზაფხულო)—„საღამოს 6 საათზე ომის შემდეგ". (ზამთრის) — „მზიური ველის სერენადა". **სპარტაკი**—„ოცნება". **ლუქსემბურგის სახელობის** — „ქალიშვილს პაემანზე მიეჩქარება". **26 კომისრის სახელობის**—„ჩვენ კრონშტადტიდან ვართ".

## ახალი თეატრი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა სამმართველომ დაადგინა მესხეთის მშრომელთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ახალციხეში შექმნას თეატრალური კოლექტივი, რომელიც მომსახურებას გაუწევს მესხეთის ყველა რაიონს.

თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშნულია რეჟისორი მიხეილ მეძმარიაშვილი.

ახალციხის რაიონულმა ხელმძღვანელობამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ თეატრს შეუქმნას მტკიცე ბაზა ნაყოფიერი მუშაობისათვის. მოწვეული მსახიობები უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით, მომარაგებით და სხვ. თეატრისათვის შერჩეული იქნებიან კვალიფიციური მსახიობები, მუდმივ მხატვრად იმუშავებს შ. დედაბრიშვილი.

მომავალი სეზონის განმავლობაში თითო დადგმას განახორციელებენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ვ. ყუშიტაშვილი და გრ. სულიაშვილი.

თეატრი მოსამზადებელ მუშაობას შეუდგება 10 აგვისტოს, ხოლო სეზონს გახსნის ოქტომბრის ბოლო რიცხვებში.

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ბ. ნანიტაშვილი**

მოქალაქე **ანანია პავლეს-ძე მაჭავარიანმა**, მცხოვრებმა ხერხეულიძის ქ. № 14, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **შურა მინას ასულ მაჭავარიანთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება სტალინის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოში.

ციმაკურიძე, სოხაძე, გაბუნია, გოგია, ქუთათელაძე, ქამუშაძე, ოგანიანი, პეტროსიანი, კალატოზიშვილი, ახუმოვი, მეტრეველი, ხოშტარია იუწყებიან დავით ჯიქონაიას დედის **მიტა ჯიქონაიას** გარდაცვალებას.

ბოჭორიშვილი, მუჯირი, ჯინჭველაშვილი, პაიჭაძე, ქურციკიძე, ჯაფარიძე, ჰაცაბერიძე, მანია, შენგელია იუწყებიან ივსიბი მუჯირის დის **თამარ მუჯირის** გარდაცვალებას.

ვლასი, სერგო, პარმენ გოგორიშვილები ცოლ-შვილით იუწყებიან **ლილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 28/VII, 6 ს. ქ. ცეტკინის, 132.

ტრამვაისა და ტროლეიბუსების ტრესტის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან **არტემ ივანეს-ძე ვაშაკიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 29/VII, 5 ს. ორჯონიკიძის, 121.

ა. ჩხეტიანი, ი. ნადარაია, ს. ჭელიძე, ა. მახარაძე, გ. ზონენაშვილი, ი. პაელიაშვილი, ა. ჩიქოვანი, ლ. კაზაკოვა, ვ. დგებუაძე, ქ. ოდიშარია იუწყებიან ა. ბართაიას მეუღლის **ნინო ბართაია-სუხიაშვილის** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ კომუნალური ბანკის კოლექტივი იუწყება ალფეზ ხელაძის სიდედრის **არუსიაკ მარტინის-ასულ კარაპეტიანის** გარდაცვალებას. გამოსვენება 28/VII, 6½ ს. ჟორესის, 4.

ოლია, ვანო მაჭავარიანები, კატო, მიშა ქვარიანები, ლიდა, ლელო, ანა, ნატაშა, მიშა, საშა, გრიშა ქუთათელაძეები იუწყებიან **ვახტანგ ტურაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 29/VII, 5 ს. ლენინის II შესახვევი, 5.

პ. დ. მანიავა, ვ. ბეჭვაია, ვ. ჩიქავა, დ. ქურულორია, გ. შანავა, ვ. ცინინტია, ვლადიმერ, ვარლამ, ანდრო მანიები იუწყებიან დავით ჯიქონაიას დედის **მიტას** გარდაცვალებას.

ექიმი დავით ჭიპაშვილი მეუღლით ანახით, შვილებით ეთერით, ვახტანგით იუწყება ბიძის **პავლე დავითის-ძე ცქიტიშვილის** გარდაცვალებას.

დედა მანია იუწყება, რომ 29/VII, 7 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **დავით (ბუბულა) არტემის-ძე ვაშაკიძის** პანაშვიდი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და პარტიული პროპაგანდის — 3-81-84, კომკავშირული ცხოვრებისა და მშრომელთა წერილების—3-78-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-20-83, სამხედრო, ლიტერატურისა—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 07967